


მაკროეკონომიკური პროგნოზები



ეკონომიკური ზრდის ტემპი 2021 – 2025 წწ



წვლილი 2021 წლის ეკონომიკურ ზრდაში:

- რეალური მოხმარება (↑) : +8.1%
- წმინდა ექსპორტი (↑) : +1.6 %
- რეალური ინვესტიციები (↑) : +0.1%

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

მაკროეკონომიკური პროგნოზები

ნოემბერი, 2021 წელი

ანგარიშის შესახებ: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოადგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგნოზების ალტერნატიული საპროგნოზო მარკენებლები.

შენიშვნა: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები განახლდება საბიუჯეტო პროცესის და საბიუჯეტო ოფისის ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:

pbo@parliament.ge; nsuarishvili@parliament.ge;
atsotsolashvili@parliament.ge

შინაარსი

1.პროგნოზირების მოდელის შესახებ	4
საბაზისო სცენარი	5
2.რეალური სექტორი.....	5
3.ფისკალური სექტორი.....	12
4.საგარეო სექტორი	17
5.მონეტარული სექტორი.....	19
6.მაკროეკონომიკური სცენარები	21
6.1 ძირითადი დაშვებები.....	21
6.2 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.....	24
დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2021-2025 წლებისთვის (საბაზისო სცენარი).....	29
დანართი 2: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2021-2025 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი).....	31
დანართი 3: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2021-2025 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი).....	34
დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2021 წლისთვის (საბაზისო სცენარი).....	37
დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2022-2023 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	38
დანართი 6: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2024-2025 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	39
დანართი 7: ოპტიმისტური პროგნოზების შედარება, 2021-2025 წლებისთვის.....	40
დანართი 8: პესიმისტური პროგნოზების შედარება, 2021-2025 წლებისთვის.....	41

1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავსებადი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი¹
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრესი იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შებენიანი ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოდგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2021Q2 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები;

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

¹ მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

2.რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.8%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2021 წლისთვის (9.8%) 0.2 პროცენტული პუნქტით (პპ) ჩამორჩება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს² (10.0%), 1.8 პპ-ით აღემატება ოფისის მიერ ივლისის თვეში გამოქვეყნებულ საპროგნოზო მაჩვენებელს³ (8.0%) და განსხვავდება (4.6 პპ-ით აღემატება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლისაგან⁴. როგორც ცნობილია, მსოფლიოში მიმდინარე კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა თითქმის ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც მოახდინა გავლენა, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა 2020 წელს (-6.8%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2021 წლის II კვარტლიდან, რაც ძირითადად განპირობებულია 2020 წლის COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული მაღალი კლების გამო არსებული ე.წ. საბაზისო ეფექტით და შეზღუდვების შემსუბუქება/გაუქმების ფონზე, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდით, რაც ასევე, გავლენას ახდენს 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე. ვაქცინაციის პროცესის და სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების შერბილების/გაუქმების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ტემპის გამოცოცხლებაც. ივლისის პროგნოზთან შედარებით, აღნიშნული პროგნოზი მიმდინარე პერიოდისთვის ხელმისაწვდომ დამატებით ინფორმაციას ითვალისწინებს, რაც ასახული იქნა ოფისის მიერ სცენარების საპროგნოზო მაჩვენებლებში. საბიუჯეტო ოფისის მიერ მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი განპირობებულია მიმდინარე წლისთვის მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად უკეთესი განვითარების ტენდენციის არსებობით. 2021 წლის მეორე და მესამე კვარტლებში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდა, ასევე საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, მიუთითებს ეკონომიკური საქმიანობის თანდათანობით აღდგენაზე. 2021 წლის შეფასებისას, პროგნოზირებისათვის ფუნდამენტური ეკონომიკური მოვლენების ანალიზთან ერთად, კვლავ აუცილებელია პანდემიასთან დაკავშირებული გარკვეული დაშვებების არსებობა, რომელთა ცვლილებამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროგნოზის სიზუსტეზე. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ საქართველოში ეპიდემიოლოგიური ვითარება არ გაუარესდება 2021 წლის მეოთხე კვარტალში, ქვეყანაში მწვანე პასპორტის კონცეფციის ამოქმედება გაზრდის ვაქცინაციის მაჩვენებლებს, რაც ამავდროულად ვირუსის გავრცელების ტემპის შემცირებას შეუწყობს ხელს, მოხდება ქვეყანაში შეზღუდვების შემსუბუქება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ნაწილობრივ აღდგენას. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული, როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების⁵ ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი⁶.
კერძოდ:

² მთავრობის პროგნოზი გულისხმობს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართულ 2021-2025წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომელიც 2021 წლის 22 ნოემბერს წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

³ <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic Forecasts July 2021.pdf>

⁴ <http://www.pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic Forecasts December 2020 GE FINAL2020.pdf>

⁵ ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.


⁶ წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ოქტომბერი 2021“ (WEO October 2021) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/10/12/world-economic-outlook-october-2021>

- მოსალოდნელია, რომ პანდემიასთან ადაპტირების პარალელურად, 2021 წლისათვის მნიშვნელოვნად გამოცოცხლებული ტურისტული სექტორი კვლავ განაგრძობს აღდგენას 2020 წელთან შედარებით, გაიზრდება როგორც მომსახურების ექსპორტი, ისე იმპორტი.
- ინფლაციის ტემპის გაზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის აგვისტოდან გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელმაც აგვისტოს დასაწყისიდან 10% შეადგინა. აღნიშნული განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით⁷ უცვლელი დარჩა. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლის მეოთხე კვარტალშიც ინფლაციის მაღალი ზრდის ტემპი იქნება შენარჩუნებული და წლიური ინფლაცია 2021 წელს 9.7%-ს დაფიქსირდება. ინფლაციის მაჩვენებელი 2022 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებს მიზნობრივ მაჩვენებელთან (3%) მიახლოებას, რასაც ამავე პერიოდთან პოლიტიკის განაკვეთის შემცირება შეიძლება მოჰყვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021-2022 წლებში საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ინფლაციის მაჩვენებელთან დაკავშირებით არის უფრო მაღალი მიმდინარე წლის ივლისის თვეში და 2020 წლის დეკემბრის თვეში გაკეთებულ პროგნოზთან შედარებით, რაც განპირობებულია ბოლო თვეების განმავლობაში დაფიქსირებული ინფლაციის მაღალი ზრდის ტემპებით.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2025 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 6.2%-ს შეადგენს, რაც საბიუჯეტო ოფისის მიერ ივლისის თვეში გაკეთებული საპროგნოზო მაჩვენებელს 0.3 პპ-ით აღემატება, ხოლო 2020 წლის დეკემბრის თვის პროგნოზს (2021-2024წწ) 0.8 პპ-ით. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ 2021 წლის ზრდასთან ერთად, ასევე შეიცვალა 2022-2025 წლების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები სხვადასხვა მიმართულებით. 2021 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდ წვლილს რეალური მოხმარება შეიტანს, ხოლო, გაზრდილი საგარეო სავაჭრო აქტივობის პარალელურად სავაჭრო ბალანსის წვლილი მშპ-ის ზრდაში +1.6 პპ იქნება. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველ როლს კვლავ შიდა მოხმარება და ინვესტიციები ასრულებს.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2021-2025 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 6.4%-ს უტოლდება, რაც 0.3 პპ-ით აღემატება მათი 2021 წლის ივლისის თვის ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზს (6.1%) და 1.2 პპ-ით მეტია მათი 2020 წლის დეკემბრის თვის ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზზე 2021-2024წწ-სთვის (5.2%). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.

⁷ <https://nbg.gov.ge/monetary-policy/committee-decisions>




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი⁸.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისთვის მშპ-ს მაღალი ზრდის მიუხედავად კვლავ შენარჩუნდება პოტენციური დონისაგან უმნიშვნელო უარყოფითი გადახრა (-0.8%). აღსანიშნავია, რომ ივლისის პროგნოზის მიხედვით 2021 წლისთვის მშპ-ის უარყოფითი გაპის სიდიდე -1.2% იყო, ხოლო 2020 წლის დეკემბრის პროგნოზის მიხედვით -1.7%. მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში უარყოფით გაპს კლების ტენდენცია ექნება, 2022-2025 წლებში გაპი თითქმის დაიხურება და 2025 წლისთვის რეალური მშპ პოტენციურს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს⁹.


⁸ დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

⁹ მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი"](#).



დიაგრამა 2: რეალური მშპ-ის გაპი.


რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი საპროგნოზო მოცულობა 2021 წლისთვის 16,045 ლარს, ხოლო 2025 წლისათვის - 23,719 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ განსხვავდება მთავრობის პროგნოზებისგან 2021 წელს (15,791 ლარი), ხოლო 2025 წლისთვის სხვაობა შეადგენს 1,402 ლარს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებლები, როგორც ოფისის ისე მთავრობის შემთხვევაში, აღემატება ივლისის და დეკემბრის თვეებში გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს, რაც განპირობებულია წინა პროგნოზებთან შედარებით ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი საპროგნოზო მაჩვენებლებით.



დიაგრამა 3: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალური ლარი.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისათვის ნომინალური მშპ 21.4%-ით გაიზარდება და 59,826 მლნ ლარს მიაღწევს. იგი 2,481 მლნ ლარით აღემატება 2021 წლის ივლისის თვეში გაკეთებულ საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებელს, ხოლო 6,289 მლნ ლარით აღემატება დეკემბრის თვეში გაკეთებულ პროგნოზს, რაც გაზრდილი ეკონომიკური ზრდით და დეფლატორის

პროგნოზით არის გამოწვეული. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის და ინფლაციის განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ის მარჯვენა მხარე საბიუჯეტო ოფისის მარჯვენა მხარეს როგორც მიმდინარე წელს, ასევე საშუალოვადიან პერიოდში.




დიაგრამა 4: ნომინალური მშპ მლნ ლარი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, **2021 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მარჯვენა მხარეს იქნება და 9.7%-ს მიაღწევს**. ივლისის პროგნოზის მიხედვით აღნიშნული მარჯვენა მხარეს შეადგენდა 7.4%-ს, ხოლო დეკემბრის პროგნოზით 3.2%-ს. 2020 წლის დეკემბრის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ 2021 წელს ინფლაცია მიზნობრივ მარჯვენა მხარეს ახლოს დაფიქსირდებოდა, თუმცა 2021 წლის დასაწყისიდან მოყოლებული ადგილი აქვს ინფლაციის ზრდას, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2021 წლის მეორე ნახევრიდან დაფიქსირებული მაღალი ზრდის ტემპები, რამაც განაპირობა წლიური საპროგნოზო მარჯვენა მხარეს მაღალი მნიშვნელობა მიმდინარე პერიოდისთვის. მოსალოდნელია, რომ 2022 წლის მეორე ნახევრიდან ფასების დონე შემცირებას დაიწყებს და წლის განმავლობაში მიზნობრივი მარჯვენა მხარეს ახლოს დაფიქსირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ინფლაციის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია 2021 წელს დაფიქსირებულმა შემდეგმა ფაქტორებმა:

- 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაუფასურებულმა ლარი/დოლარის გაცვლითმა კურსმა;
- 2021 წლის მეორე კვარტალიდან მოსალოდნელზე მეტად გამოცოცხლებულმა ერთობლივმა მოთხოვნამ და მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ;
- 2021 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტლებში მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლებსა და სასურსათო პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ.

აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია წლის განმავლობაში მაღალ დონეზე შენარჩუნდება. მთავრობის პროგნოზით 2021 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს აღემატება და 8.9% დაფიქსირდება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში ეროვნული ბანკის მიზნობრივი 3%-იანი მაჩვენებლის ტოლი იქნება. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე - საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 5: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 6: მშპ-ის დეფლატორი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობა 2021 წლისათვის მშპ-ის 17.6%-ს მიაღწევს და საშუალოვადიან პერიოდში მუდმივად უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია ექნება. საშუალოვადიან პერიოდში ზრდის ტრენდი ექნება კერძო დანაზოგების მშპ-სთან ფარდობასაც, 2021 წლისთვის იგი მშპ-ის 15.4%-ის, ხოლო 2025 წლისათვის - 16.9%-ის დონეზე დაფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2021 წლისათვის კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდა არის მოსალოდნელი 19.7%-მდე, საშუალოვადიან პერიოდში იგი უმნიშვნელოდ გაიზრდება და 2025 წლისთვის 21.9%-ს გაუტოლდება.




დიაგრამა 7: კერძო ინვესტიციები, მშპ-სთან შეფარდება.

3. ფისკალური სექტორი

ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე - გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს¹⁰ (GFSM 2014) მშპ-სთან მოსალოდნელი ფარდობა -6.8%-ს შეადგენს (ივლისის და 2020 წლის დეკემბრის პროგნოზებით იგი -6.8% იყო). ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს¹¹ მაჩვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2021 წლისთვის -6.7%-ს გაუტოლდება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ივლისის პროგნოზით -6.7%-ს, ხოლო 2020 წლის დეკემბრის პროგნოზით -7.0%-ს შეადგენდა.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-სთან შეფარდება.



დიაგრამა 9: მოდიფიცირებული მთლიანი სალდო, მშპ-სთან შეფარდება.

¹⁰ ბიუჯეტის მთლიანი სალდო = ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება.

¹¹ მოდიფიცირებული მთლიანი სალდო - ბიუჯეტის მთლიანი სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

2021 წელს, საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის¹² მარჯვენებელი (-6.8%) „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილების შედეგად გაიზარდა და მიუახლოვდა მთავრობის ანალოგიურ მარჯვენებელს (-6.8%). აღნიშნული მარჯვენებელი ოფისის ნოემბრის პროგნოზით შეადგენდა -6.2%-ს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 367 მლნ ლარით აღემატებოდა მთავრობის მარჯვენებელს, თუმცა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების შემდეგ აღნიშნული სხვაობა შემცირებულია 18 მლნ ლარამდე. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების განსხვავებული პროგნოზით. აღსანიშნავია რომ, როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით 2021-2022 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ზე მეტი იქნება, ხოლო 2023 წელს ჩამოსცდება 3%-იან მარჯვენებელს.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, რომელზეც 2019 წლიდან ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, იგიც საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად შემცირების ტენდენციას ავლენს. როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით 2021-2023 წლებში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს კლების ტენდენცია ექნება და უკვე 2023 წლიდან ჩამოსცდება ფისკალური წესით განსაზღვრულ 3%-იან ლიმიტს. კერძოდ, 2021 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მარჯვენებელი (-6.7%) შეადგენს, რაც 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა 0.6 პპ-ით (ნოემბრის პროგნოზით შეადგენდა -6.1%-ს შეადგენდა). აღნიშნული მარჯვენებელი 0.15 პპ-ით ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ ივლისის თვეში გამოქვეყნებულ პროგნოზზე (-6.8%), 0.4 პპ-ით ნაკლებია 2020 წლის დეკემბრის პროგნოზზე (-7.1%) და არ განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მარჯვენებლისგან (-6.7%).

აქვე ხაზგასასმელია რომ, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართულ 2021-2025წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ მთავრობის საშუალოვადიან პროგნოზებს.


ფისკალური სექტორის ანალიზის დროს, აგრეთვე მნიშვნელოვანია საშუალოვადიანი პერიოდისათვის შევაფასოთ ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით¹³, კერძოდ - დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან¹⁴.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021-2024 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას ემთხვევა მშპ-ის უარყოფითი გაპი, რაც ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია და პასუხობს მდგრადი ეკონომიკური განვითარების კარგ პრაქტიკას (ეკონომიკის სტიმულირება შენელების დროს). რაც შეეხება 2025 წელს, პოზიტიური გაპის პარალელურად არსებული კვლავ დადებითი ფისკალური პოზიცია მცირე პროციკლურ ექსპანსიაზე მიუთითებს.

¹² ბიუჯეტის დეფიციტი = ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო.

¹³ კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.

¹⁴ იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი"](#).




დიაგრამა 10: ფისკალური პოზიცია.


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 13,289 მლნ ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო ოფისის მიერ ივლისში გაკეთებულ ანალოგიური მარჯვენა მხარის პროგნოზს 113 მლნ ლარით, 2020 წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს 1106 მლნ ლარით, ხოლო მთავრობის მიმდინარე პროგნოზს (13,271 მლნ ლარი) 18 მლნ ლარით აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მარჯვენა მხარის შორის¹⁵ (იხ. დიაგრამა 11-12). საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 22.2%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი კი 22.6%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2021-2025 წლებისათვის გადასახადების შეფარდება მშპ-სთან საშუალოდ 22.4% იქნება, მთავრობის პროგნოზის მიხედვით კი 23.5%. აღნიშნული მარჯვენა მხარის ივლისის პროგნოზის მიხედვით ორივესთვის, საბიუჯეტო ოფისის და მთავრობისთვისაც შეადგენდა 23.4%-ს, ხოლო 2020 წლის დეკემბრის თვეში გამოქვეყნებული პროგნოზით (2021-2024წწ) 22.7% და 23.2%-ს.

¹⁵ პირდაპირი გადასახადები ასევე მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.

საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წელს პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში შეადგენს 39.2%-ს. შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების წილი 60.8%-ი იქნება. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ივლისის პროგნოზის მიხედვით შეადგენდა 38.6%-ს, ხოლო დეკემბრის პროგნოზის მიხედვით 42%-ს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საშუალოვადიან პერიოდში თანდათან მოიმატებს პირდაპირი გადასახადების და დაიკლებს არაპირდაპირი გადასახადების წილი¹⁶. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია 2017-2021 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. საბიუჯეტო პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.




დიაგრამა 11: 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი)




რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2021 წლისათვის 41.7% იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზრდება. მთავრობის ივლისის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 41.7%-ს, ხოლო 2020 წლის დეკემბერს გამოქვეყნებული პროგნოზით 42%-ს.

დიაგრამა 12: 2021 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (მთავრობა)

¹⁶ საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს: მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა გამოვლინდება მომდევნო წლებში, ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება როგორც პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირება, ასევე ქონების გადასახადის პროგრესულობიდან გამომდინარე მისი წილიც საგადასახადო შემოსავლებში.



დიაგრამა 13: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-სთან შეფარდება.




დიაგრამა 14: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

4.საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 9.7%-ია, რაც 0.8 პპ-ით ჩამორჩება ოფისის 2021 წლის ივლისის პროგნოზს (10.5%), მთავრობის საპროგნოზო მარვენებელი კი მშპ-ის 8.9%-ს შეადგენს. აღსანიშნავია რომ 2020 წლის დეკემბრის პროგნოზის მიხედვით აღნიშნული მარვენებელი საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის პროგნოზის მიხედვითაც 8.5%-ს შეადგენდა. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2022 წლიდან გაუმჯობესებას დაიწყებს და საშუალოდ მშპ-ს -6.9%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვითაც დეფიციტი 2022 წლიდან გაუმჯობესდება და საშუალოდ მშპ-ს -6.9%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდაა.¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში იზრდება მშპ-ში ინვესტიციების წილიც, დანაზოგების ზრდის ტემპი არამხოლოდ აკომპენსირებს ამ ზრდას, არამედ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ აღსანიშნავია, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დანაზოგების ზრდა.




დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:

- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19-ით გამოწვეული, ზემოთ აღწერილი პრობლემებიდან გამომდინარე, 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტის და იმპორტის მოცულობა, თუმცა 2021 წლიდან საგარეო აქტივობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, ყოველივე აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და სავაჭრო ბალანსი თანდათან გაუმჯობესდება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2021 წელს მშპ-ის 16.3%-ს მიაღწევს, მთავრობის


¹⁷ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა - დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.

პროგნოზით კი დეფიციტი 15.9% იქნება. რაც შეეხება ოფისის მიერ ივლისის თვეში გამოქვეყნებულ საპროგნოზო მარკენებელს მიმდინარე პროგნოზისგან უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა და 16.5%-ს შეადგენდა, 2020 წლის დეკემბრის პროგნოზით კი აღნიშნული მარკენებელი 12%-ის დონეზე იყო შეფასებული. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით მიმდინარე ანგარიში და სავაჭრო ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის შიდა მიწოდება უკეთ უზრუნველყოფს მთლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.



დიაგრამა 16: სავაჭრო ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2021 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 464 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება** და საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 1,203 მლნ აშშ დოლარი იქნება და შემდეგ წლებში გაიზრდება, გარდა 2025 წლის შემცირებისა.




დიაგრამა 17: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი.

5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 34,937 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 15.0%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 16,217 მლნ ლარია, ზრდა კი - 18.7%.




დიაგრამა 18: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი.




დიაგრამა 19: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 6.5%-ით ზრდა. შესაბამისად, 2021 წელს რეზერვების მოცულობა 4,163 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (4.6 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2021-2025 წლების საშუალო მოცულობა 4,874 მლნ აშშ დოლარია.



დიაგრამა 20: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2021 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 43,002 მლნ ლარს მიაღწევს, რაც მეტია სამთავრობო პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება 2022 წელსაც, ხოლო შემდგომ წლებში მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებლები მცირედით აღემატება საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მონაცემებს.



დიაგრამა 21: კერძო სექტორზე გაცემული სესხები. ნაშთები. მლნ ლარი.

6. მაკროეკონომიკური სცენარები

მაკროეკონომიკური სცენარები წარმოადგენს ეკონომიკის საბაზისო, ყველაზე მეტად მოსალოდნელი სცენარიდან გაუთვალისწინებელი გადახრის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის შესაძლო განვითარების მოდელს.

2021 წლისათვის საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების დაშვებებს შორის ძირითადი განსხვავება კორონა ვირუსის (Covid-19) შესაძლო განვითარებასა (ვირუსის გავრცელების მასშტაბები, ვაქცინაციის ტემპები, ეკონომიკის გახსნის ტემპები და ა.შ.) და მის მიერ გამოწვეული შედეგების რეალიზაციით არის განპირობებული.

საბაზისო მოდელი უშვებს, რომ საქართველოში 2021 წლის მეოთხე კვარტალში და შემდგომ პერიოდში ვირუსის გავრცელების ტალღას ეკონომიკურ მოვლენებზე ძლიერი უარყოფითი გავლენა არ ექნება და, ამავდროულად, 2022 წლიდან ვაქცინირებული მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შედეგად გაუმჯობესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების და გაუმჯობესებული გლობალური ეკონომიკის ფონზე საქართველოს ეკონომიკა, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად სწრაფად დაიწყებს აღდგენას.

თუმცა, თანამედროვე ცვალებადი გარემოდან გამომდინარე შესაძლებელია ეკონომიკის აღდგენას ჰქონდეს უფრო სწრაფი ე.წ. "V" ტიპის ფორმა ან ასევე მოსალოდნელია ეკონომიკის გამოცოცხლება არც ისე სწრაფი ტემპით მოხდეს. იმის მიხედვით:

- რამდენად **გამწვავდება და გაგრძელდება ეპიდემია** მსოფლიოში;
- შექმნის თუ არა ეს ყველაფერი **ფისკალური მდგრადობის პრობლემებს** ქვეყნებისთვის და;
- რამდენად **სწრაფად აღდგება ეპიდემიამდელი ეკონომიკური კავშირები და ქცევები**.

შესაძლებელია განვიხილოთ მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.

ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით მოხდება ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით გამოცოცხლება და საგარეო დისბალანსის აღმოფხვრა, ამავდროულად დაშვების მიხედვით 2021 წლის მეოთხე კვარტალში და მომდევნო პერიოდებში ვირუსის გავრცელების შემდგომი ტალღები ეკონომიკაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას არ მოახდენს და საქართველოს ეკონომიკა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად გააგრძელებს სწრაფი ტემპით აღდგენას. ამავდროულად სცენარის მიხედვით, როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ მსოფლიოში პანდემიას არ მოჰყვება ფისკალური/ვალის მდგრადობის პრობლემები და მსოფლიო შეინარჩუნებს ჯანსაღ ფისკალურ პოზიციებს. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოში 2022 წლიდან დაიწყება ტურისტული სექტორის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება, საგარეო მოთხოვნის კიდევ უფრო ზრდა. საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს მუდმივად დადებით შოკს ქვეყანაში და მაღალ ეკონომიკურ ზრდას.


პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ 2021 წლის ბოლოსთვის და შემდგომ პერიოდში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება და გარკვეულ შემლუდვებს და აკრძალვებს კვლავ ექნება ადგილი. ამ სცენარის მიხედვით 2022 წლიდან მოსალოდნელია, რომ მაღალი ვალის ტვირთის მქონე გარკვეულ ქვეყანათა ჯგუფს შესაძლოა დაუდგეთ ფისკალური მდგრადობის პრობლემები, რაც გამოიწვევს დამატებით საგარეო შოკს და გლობალური მოთხოვნის ნაკლებ ზრდას. პესიმისტური სცენარის მიხედვით, ასევე მოსალოდნელია, რომ ტურისტული ნაკადების გამოცოცხლება, რომელიც დაწყებულია 2021 წლიდან გაგრძელდება 2022 წელსაც, თუმცა მისი ტემპები ნაკლები იქნება საშუალოვადიან

პერიოდში, საბაზისო სცენარის დაშვებასთან შედარებით. საშუალოვადიან პერიოდში პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ ეკონომიკის აღდგენა ძნელად მისაღწევი იქნება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე შემცირდება ასევე წარმოების პოტენციალიც.

6.1 ძირითადი დაშვებები

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური მოდელის (PBOMFM) სხვადასხვა სცენარი ეფუძნება შოკების რეალიზაციის პირობებში ორი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორის: ინფლაციისა და რეალური მშპ-ის ცვლილებებს. დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების საბაზისო სცენარიდან გადახრები განპირობებულია ინფლაციისა და მშპ-ის ზრდის შოკებით.

რეალური მშპ-ის ზრდის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები წარმოადგენს ზემოთ აღწერილი დაშვებების შესაძლო რეალიზაციის შედეგად საბაზისო სცენარიდან გადახრას.




იგარამა 22: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

მაკროეკონომიკური სცენარები ეფუძნება დაშვებას, რომ, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, მთლიანი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად დადებითი შოკები რეალიზდება, ხოლო, უარყოფითი სცენარის დროს, ყოველ წელს საბაზისო სცენართან შედარებით ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ტენდენციებია მოსალოდნელი.

ამ დაშვებების გათვალისწინებით, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2021-2025 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 8.2% იქნება, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში - 4.2% .

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინფლაციას, მისი ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები ითვალისწინებს წლების განმავლობაში ინფლაციის ტენდენციებს ეკონომიკური ზრდისა და შენელებისას, აგრეთვე - ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შეფასების შეცდომას.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 6.3%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მუდმივად ნაკლები იქნები საბაზისო სცენარზე (საშუალოდ 4.0%).



დიაგრამა 23: ინფლაცია, (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

რეალური მშპ-ისა და ინფლაციის ოპტიმისტური სცენარების კომბინაცია წარმოადგენს მთლიანი მოდელის ოპტიმისტური სცენარის საფუძველს, ხოლო პესიმისტური სცენარების კომბინაცია ეკონომიკური განვითარების პესიმისტური სცენარის ბაზისია.

მოდელი ეყრდნობა დაშვებას, რომ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შოკები, პირველ რიგში, სწორედ ამ ორ ინდიკატორზე მოახდენს გავლენას. თავის მხრივ, რეალური მშპ-ის ზრდა და ინფლაცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე, რაც აგრეთვე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია.

